საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის

ბრძანება №17

2002 წლის 8 თებერვალი

ქ. თბილისი

საქართველოს საფოსტო მარკების მიმოქცევაში გაშვების შესახებ

„კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის და საქართველოს პრეზიდენტის 2002 წ. 4 იანვრის №1 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს დებულებისა და სტრუქტურის შესახებ“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. 2002 წ. 11 თებერვლიდან დადგენილი და გაშვებული იქნას მიმოქცევაში, შემდეგი ნიმუშების საქართველოს საფოსტო მარკები:

ა) დეფინიტური, „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“ – 1 მარკა, ავტორი ბ. ქობლიანიძე; ბეჭდვა ოფსეტური; მრავალფეროვანი; ზომა 21X32 მმ; ნომინალური ღირებულება 100 თეთრი; ტირაჟი 100 ათს. ცალი, ფურცელში 20 მარკა (4X5).

მარკა №292
ნომინალი 100 თეთრი

ბ) დეფინიტური, „ქართული ორნამენტი“ – 1 მარკა, ავტორი ბ. ქობლიანიძე; ბეჭდვა ოფსეტური; მრავალფეროვანი; ზომა 24X24,5 მმ; ნომინალური ღირებულება 5,0 ლარი; ტირაჟი 100 ათს. ცალი, ფურცელში 20 მარკა (4X5).

მარკა №293
ნომინალი 5,0 ლარი

გ) „საქართველოს ნავსადგურები“ – 1 ფურცელი 6 მარკით; ავტორი ბ. ქობლიანიძე; ბეჭდვა ოფსეტური; მრავალფეროვანი; ფურცლის ზომა 102X156 მმ; მარკის ზომები 42X28 მმ; თითოეული მარკის ნომინალური

ღირებულება 30 თ; თითოეული მარკის ტირაჟი 20 ათს. ცალი; მარკების №297-302, ნომრები აითვლება მარცხიდან მარჯვნივ.

მარკა №294
ნომინალი 30 თეთრი

მარკა №295
ნომინალი 50 თეთრი

დ) „ნაციონალური ბალეტი“ 3 მარკა (სუხიშვილი, რამიშვილი) ავტორი ბ. ქობლიანიძე; ბეჭდვა ოფსეტური; მრავალფეროვანი; თითოეული მარკის ზომა 29X42 მმ; თითოეული მარკის ტირაჟი 25 ათს. ცალი; ფურცელში 20 მარკა (4X5).

მარკა №296
ნომინალი 80 თეთრი

2. ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან.

მ. ადეიშვილი